საქართველო

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის

საკრებულო

დადგენილება № 34

2010 წლის 22 ნოემბერი

„თვითმმართველი ქალაქი რუსთავის სარკებულოს დებულების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2010 წლის 2 ივლისის №1 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 44–ე მუხლის პირველი პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–20 მუხლის შესაბამისად

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1.

„თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2010 წლის 2 ივლისის №1 დადგენილებით დამტკიცებულ საკრებულოს დებულებაში განხორციელდეს ცვლილება და მე–17 მუხლის მე–2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა[1]“ და „ფ[1]“ ქვეპუნქტები:

„ა[1]. ხელმძღვანელობს თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს.“

„ფ[1]. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირებს/მოხელეებს სამართლებრივი აქტის საფუძველზე ანიჭებს კონკრეტულ უფლებამოსილებებს, რაც დაკავშირებულია თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილების განხორციელებასთან.“

მუხლი 2.

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე *კახა გურგენიძე*